ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისიის

განცხადება

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოაცხადა შიდა კონკურსი საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსი გამოცხადდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) შემდეგი პირობებით:

1. კონკურსს ატარებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისია, რომელიც ადგენს კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისთვის დაწესებული საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობას.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა 18 წლის ასაკს მიღწეულ, საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით, მისამართზე: www.hr.gov.ge.

4. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

5. კანდიდატს შეუძლია განცხადებაში შეიტანოს ცვლილება განცხადების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

6. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) - „ჩემი რეზიუმეს“ „დამატებითი დოკუმენტაციის“ ბლოკში კანდიდატმა უნდა ატვირთოს:

ა) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) სტაჟის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი (შრომის წიგნაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა) - შესაბამისი თანამდებობისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებით სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის შემთხვევაში.

7. საბუთები წარდგენილ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანის წარდგენა). საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კანდიდატი კონკურსის მე-2 ეტაპზე არ დაიშვება.

8. კონკურსი ჩატარდება 3 ეტაპად:

განცხადების გადარჩევა;
ზეპირი დავალება; გასაუბრება.

9. გასაუბრებაზე გამოცხადებისას მონაწილეებმა თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ან მართვის მოწმობა).

10. კანდიდატს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ინფორმაცია ეცნობება აპლიკაციაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.khobi-sakrebulo.ge;)

11. კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა მხოლოდ წერილობითი ფორმით მისამართზე: ქ. ხობი; ცოტნე დადიანის ქ. N189 (ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა).

12. ინფორმაცია კონკურსის მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდებზე, შემდეგ მისამართზე საკრებულო (www.khobi-sakrebulo.ge),

საკონტაქტო ინფორმაცია: ელექტრონული ფოსტა :sakrebulo@khobi.gov.ge; khobi.mun@gmail.com

ტელეფონი: 595 51 75 40 ლაშა ქირია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისია